

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს გასვლითი სხდომის

ოქმი N20

ს. სუფსა

30.09. 2011 წელი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა რევაზ ჩიტიძე — მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

**სხდომას ესწრებოდნენ:** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ზვიად აფხაზავა, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე დავით ჩხაიძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ლანჩხუთელების“ თავმჯდომარე მარიკა თურნავა, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გია ორაგველიძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გოჩა ჯანაშია, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე პაატა ფირცხალაიშვილი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ილო გვარჯალაძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე მერაბ წილოსანი.

**სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული პირები:** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებელი გიორგი გოგუაძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილეები: ნუგზარ ღლონტი, გიორგი ჭყონია, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საზოგადოებასთან ურთიერთობის და ინფორმაციის სამსახურის უფროსი ეთერ ჭყონია, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის „აგრობიზნესცენტრის“ დირექტორი გელა ზოიძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსი შოთა ჩაგუნავა, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი ლია იმნაძე, სუფსის ტერიტორიული ერთეულის რწმუნებული ელგუჯა ჩხარტიშვილი, რწმუნებულის თანაშემწეები: დინარა ცხომარია, ეგნატე გურგენაძე, სუფსის ტერიტორიული

ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატი ნუგზარ ხავთასი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი პირები.

სხდომის თავმჯდომარე რევაზ ჩიტიმემ ბიუროს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. უკრაინის რესპუბლიკაში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის დელეგაციის ვიზიტის შედეგების მოსმენის შესახებ.

*/მომხსენებელი გ. ჭყონია/*

2. სოფლის პროგრამებისა და ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობის თაობაზე ინსპექტირების ჯგუფის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

*/მომხსენებელი ნ. ლლონტი/*

3. სუფსის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის ინფორმაციის (სოფლის პროგრამის ეფექტურობა, ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული პრობლემები) მოსმენა.

*/მომხსენებელი ე. ჩხარტიშვილი/*

4. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში ჩატარებული გამოკითხვის შედეგად წარმოდგენილი პრობლემების ანალიზი.

*/მომხსენებელი ზ. აფხაზავა/*

5. საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთის გურია“-ს უმაღლეს ლიგაში გადასვლის 25 წლის საიუბილეო ღონისძიებების ორგანიზებასთან დაკავშირებით ინფორმაციის მოსმენის შესახებ.

*/მომხსენებელი გ. ჯანაშია/*

6. სამშობლოსათვის დაღუპულ გმირთა მემორიალის პროექტის შესარჩევი საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ.

*/მომხსენებელი გ. ჯანაშია/*

7. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის რწმუნებულთა მიერ აქტის შედგენის, ცნობის გაცემისა და ბეჭდის გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, პროექტზე ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

8. სხვადასხვა

სხდომის თავმჯდომარე რევაზ ჩიტიმემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

**მომხრე 9, წინააღმდეგი არცერთი.**

**დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით** „უკრაინის რესპუბლიკაში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის დელეგაციის ვიზიტის შესახებ“ ინფორმაცია გააკეთა მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე გიორგი ჭყონიამ. მან აღნიშნა რომ მ/წ 20 სექტემბრიდან 26 სექტემბრის ჩათვლით უკრაინის ქალაქ ნოვა კახოვკაში, რომელიც მუნიციპალიტეტთან დაძმობილებული ქალაქია, იმყოფებოდა ლანჩხუთის დელეგაცია. ვიზიტის მიზანი იყო:

- 1.საინვესტიციო ფორუმ „ტავრიულ ჰორიზონტში“ მონაწილეობის მიღება.
- 2.მუნიციპალიტეტში წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გამოფენა-გაყიდვაზე პრეზენტაცია.
- 3.პოტენციური ინვესტორებისადმი მუნიციპალიტეტის საინვესტიციო პოტენციალის პრეზენტაცია.
4. ადგილზე წარმოებული პროდუქციისათვის გასაღების ბაზრის მოძებნა.
- 5.ჩაის გადამამუშავებელი როლერის და საშრობი დანადგარის დამზადებაზე ხელშეკრულების მომზადება.

აღნიშნული პერიოდის განმავლობაში იყო საქმიანი შეხვედრები ქარხანა „სოკოლის“ ხელმძღვანელობასთან, ქალაქ ნოვა კახოვკის მერთან და პოტენციურ ინვესტორებთან, რომლებიც დაინტერესებულები არიან ჩვენს ქვეყანაში ბიზნეს საქმიანობის წარმოებით და ეძებენ ხელსაყრელ წინადადებებს ამ მიმართულებით. მუნიციპალიტეტის აგროკლიმატური და გეოგრაფიული თავისებურებების გათვალისწინებით, აქცენტები ძირითადად იმ დარგების განვითარებაზე კეთდებოდა, რომლებიც ტრადიციულია ამ რეგიონისათვის და მათი განვითარებისათვის საკმარისი რესურსები მოიპოვება. ეს იქნება კვალიფიციური სპეციალიტები, მიწა, ამ სფეროში საქმიანობის გამოცდილება და სხვა.

ასევე საუბარი შეეხებოდა ისეთი დარგების განვითარებას, როგორცაა მეჩაიეობა, მეციტრუსეობა, მეფუტკრეობა და სატბორე მეურნეობები. ამ მიმართულებით მათ მიერ წარმოდგენილ იქნა საქმიანი წინადადებები. ეს ეხებოდა ერთობლივი საწარმოების შექმნას და სამომავლოდ ამ მიმართულებით მუშაობის გაღრმავებას. ოქტომბრის თვეში უკრაინული მხარე გეგმავს ვიზიტს, რომლის ფარგლებში ყველა ამ წინადადების საპასუხოდ

შეთავაზებული იქნება კონკრეტული ბიზნეს-წინადადებები და იმის გათვალისწინებით რომ დიდია მათი დაინტერესება ჩვენს ქვეყანაში ბიზნეს-საქმიანობის წარმოებით ვიზიტის პირობებში მოხდება უკვე კონკრეტული საკითხების გადაწყვეტა, რომელიც სარგებლობას მოუტანს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს.

ბიურომ ცნობად მიიღო მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილის გიორგი ჭყონიას ინფორმაცია უკრაინის რესპუბლიკაში ვიზიტთან დაკავშირებით.

საკრებულოს თავმჯდომარე, რევაზ ჩიტინძემ, დაავალა გიორგი ჭყონიას და აგრობიზნეს-ცენტრის ხელმძღვანელს, გელა ზოიძეს უკრაინის დელეგაციის სტუმრობასთან დაკავშირებით მოამზადონ ბიზნეს წინადადებები და პარტნიორული წინადადებები და უზრუნველყონ სტუმრების დახვედრის ორგანიზაციული საკითხების დაგეგმვა-მოგვარება.

**დღის წესრიგი მეორე საკითხთან დაკავშირებით,** სოფლის პროგრამებისა და ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობის თაობაზე ინსპექტირების ჯგუფის ანგარიშის შესახებ ინფორმაცია გააკეთა ინსპექტირების ჯგუფის უფროსმა, ნუგზარ ღლონტმა. მან აღნიშნა, რომ სოფლის მხარდაჭერის პროგრამით 15 ადმინისტრაციული ერთეულისათვის დამუშავდა 89 ობიექტი. სოფლის პროგრამების საერთო ღირებულება შეადგენს 685 466 ლარს. დღეის მდგომარეობით დასრულებულია 61 ობიექტი, რომელიც საერთო რაოდენობის 68%-ია დასრულების სტადიაშია 28 ობიექტი, საერთო რაოდენობის 32%. თანხობრივად შესრულებულია 521 415 ლარის ღირებულების სამუშაო, რაც მთლიანი თანხის 76%-ია. სამუშაოები მთლიანად დასრულებულია ჯურუყვეთისა და ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულებში. რაც შეეხება სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულს, 6 სოფელში გათვალისწინებულია 11 პროექტი. პროექტით გამოყოფილმა თანხამ შეადგინა 79356 ლარი. დღეის მდგომარეობით დასამთავრებელია მხოლოდ ერთი პროექტი, სოფ. ხიდმაღალას სააღმზრდელო ჯგუფის შენობის შეკეთება.

მუნიციპალიტეტის 2011 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებული პროექტების სამუშაოების მიმდინარეობა შეიძლება ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად, მშენებლობის ხარისხი კარგია და გაუმჯობესებულია წინა წელთან შედარებით.

ქალაქ ლანჩხუთის ქუჩების რეაბილიტაციის სამუშაოებს აწარმოებს შ.პ.ს „არ დი აი“. ამჟამად შესრულებულია სამუშაოების 70%. დამთავრებულია ქალაქის ცენტრალური ქუჩების მოასფალტება, რაც შეეხება ბარათაშვილის ქუჩის რეაბილიტაციას, ნელი ტემპით მიმდინარეობს სანიაღვრე არხების მოწყობა.

შ.პ.ს. „ქეთურინა“ რეგიონული პროექტების ფონდის დაფინანსებით აკეთებს 2 პროექტს, კერძოდ, საცხოვრებელი კორპუსის სახურავის რეაბილიტაციას (თანხით 16 117 ლარი) და ხიდების მოწყობას (თანხით 26199 ლარი). შესრულებულია სამუშაოების 60%-ი.

შ.პ.ს. „ქეთურინა“ ადგილობრივი ბიუჯეტის თანხებით აწარმოებს პოლიციის ადმინისტრაციული შენობის შიდა ეზოს კეთილმოწყობას. (თანხით 55 370 ლარი). შესრულებულია სამუშაოების 20%-ი.

ინდ. მეწარმე „დათო ჯვართავა“ ასრულებს პოლიციის ადმინისტრაციული შენობისა და ყოფილი სასტუმროს მიმდებარე გზების რეაბილიტაციას, თანხით 28411 ლარი. შესრულებულია ორთავე სამუშაოზე სამუშაოს 20%-ი.

საკრებულოს თავმჯდომარე რევაზ ჩიტინძემ განმარტა, რომ ანგარიშიდან გამომდინარე ზოგიერთ შემსრულებელს აქვს ჩამორჩენა სამუშაოების მიმდინარეობაში. მან დაავალა ინსპექტირების ჯგუფს და რაიონის გამგებელს, რომ მკაცრ კონტროლზე აიყვანონ სამუშაოების დროულად და ხარისხიანად შესრულების მიმდინარეობა. მან მოითხოვა, რომ ინსპექტირების ჯგუფმა შემსრულებლის მიერ ყველა ვადა გადაცილებულ დღეზე დაარიცხოს ხელშეკრულების თანახმად ჯარიმა, რაც სოფლის პროგრამის ხელშეკრულებების პირობებში საკმაოდ სოლიდური თანხაა და დააწესონ სათანადო კონტროლი სამუშაოების შესრულების ვადებსა და ხარისხზე.

ბიუროს სხდომაზე ცნობად იქნა მიღებული ინსპექტირების ჯგუფის ხელმძღვანელის ნუგზარ ღლონტის ინფორმაცია.

**დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით** „სუფსის ტერიტორიულ ორგანოში სოფლის პროგრამების ეფექტურობისა და ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული პრობლემების შესახებ“ ინფორმაცია სხდომას გააცნო სუფსის ტერიტორიული ერთეულის რწმუნებულმა ეგუჯა ჩხარტიშვილმა. მან აღნიშნა, რომ სუფსის ტერიტორიული ორგანო აერთიანებს 2000 კომლს, 3500 მაცხოვრებლით, მასში შედის 7 სოფელი.

მ/წელს სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გამოყოფილ იქნა 79 356 ლარი. სულ დაგეგმილი იყო 11 პროექტის განხორციელება, რომელთაგან 10 პროექტი უკვე დამთავრებულია. დამთავრების პროცესშია სოფ. ხიდმაღალის ბაღის მშენებლობა. აღნიშნული პროექტებით განხორციელდა საყანე ფართობების შეღობვა, შეკეთდა მისასვლელი გზები, საყანე ფართობებში დაიდგა ჭიშკრები, მოეწყო ცხაურები. წყლის პრობლემა მოეხსნა მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს ხიდმაღალასა და ტაბანათში, არტეზიულ ჭებზე სამფაზიანი ძრავები შეიცვალა ერთ ფაზიანი ძრავებით.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხებით რემონტი ჩაუტარდა სუფსის საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების შენობას.

მიუხედავად აღნიშნულისა სუფსის მუნიციპალიტეტში კვლავ რჩება უამრავი პრობლემა, რომლის გადაჭრა ადგილობრივი ძალებით შეუძლებელია. მათ შორის პირველია უმუშევრობის პრობლემა. კვლავ პრობლემად რჩება მოსახლეობისათვის საშემე მერქნით უზრუნველყოფის საკითხი. არასაკმარისია გამოყოფილი ტყე-კაფის ფონდი და ის რაც გამოყოფილია, პრაქტიკულად მიუვალა. პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთი გზაა გაზიფიცირების საკითხის დადებითად გადაწყვეტა. სოფელში კვლავ რჩება სხვა პრობლემები, კერძოდ, მოსაწესრიგებელია შიგა გზები, კეთილმოსაწყობია სუფსის ცენტრი, სარემონტო ადმინისტრაციული შენობა და სუფსის საბავშვო ბაღი, გადასაწყვეტია სასმელი წყლის პრობლემები ტაბანათსა, ახალსოფელსა და ჩქუნში, მოსაწესრიგებელია ქუჩების განათება, არასაკმარისია სანაგვე ყუთები, შესაცვლელია მაღალი ძაბვის ბოძები.(ინფორმაცია თან ერთვის).

საკრებულოს თავმჯდომარე რევაზ ჩიტაძემ დაავალა დეპუტატ ნუგზარ ხავთასს და რწმუნებულ ელგუჯა ჩხარტიშვილს დეტალურად შეისწავლონ სუფსის ტერიტორიულ ორგანოში არსებული პრობლემები და ის საკითხები, რომელთა მოგვარებაც შესაძლებელია სოფლის პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი დაფინანსებიდან და მასალები წარმოუდგინონ მუნიციპალიტეტის საკრებულოს 10 დღის ვადაში.

ბიურომ ცნობად მიიღო სუფსის ტერიტორიული ერთეულის რწმუნებულის ე. ჩხარტიშვილის ინფორმაცია.

**დღის წესრიგის მეოთხე საკითხთან დაკავშირებით** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში ჩატარებული გამოკითხვის შედეგად წარმოდგენილი პრობლემების ანალიზის შესახებ“ მონაცემები სხდომას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ზვიად აფხაზავამ. მან აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ მ/წ მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ორგანოებში ჩატარდა მთელი რიგი სამუშაოები სოფლის პროგრამებითა და ინფრასტრუქტურის პროექტებით გათვალისწინებულ სამუშაოთა შესასრულებლად, კვლავ პრობლემად რჩება ზოგიერთი საკითხი. ამ მიზნით ჩატარდა მოსახლეობის გამოკითხვა სოფლად არსებული პრობლემების შესახებ, მოხდა მათი შეჯამება, გაკეთდა ანალიზი, გამოიკვეთა პირველი რიგის პრობლემები, კერძოდ:

1. შიდა გზების ორმოვანი შეკეთება

2. წყალმომარაგების პრობლემების მოგვარება
3. ინდივიდუალური გამრიცხველიანება და გარე განათების მოწყობა
4. მილ–ხიდებისა და ხიდების შეკეთება
5. წყალსაწრეტი არხების გაწმენდა
6. სოციალური პრობლემები
7. ქალაქის ქუჩების ორმოვანი შეკეთება
8. საყანე ფართობებისა და სამოვრის შეღობვა
9. მდინარის გასწორხაზოვნება და ნაპირსამაგრი სამუშაოები
10. სპორტული კომპლექსის მოწყობა

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, ზვიად აფხაზავამ განმარტა, რომ გამოკითხვის მიზანია აღნიშნული პრობლემები ასახულ იქნას პრიორიტეტების დოკუმენტში და მოხდეს მათი გათვალისწინება მომავალში სოფლის პროგრამებისა და ინფრასტრუქტურის პროექტების შედგენის დროს.

ბიურომ ცნობად მიიღო საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის ზვიად აფხაზავას ინფორმაცია ადმინისტრაციულ ერთეულში ჩატარებული გამოკითხვის შედეგების შესახებ.

**დღის წესრიგის მეხუთე საკითხზე** „საფეხბურთო კლუბ „ლანჩუთის გურია“-ს უმაღლეს ლიგაში გადასვლის 25 წლის საიუბილეო ღონისძიებების ორგანიზებასთან დაკავშირებით“ ინფორმაცია გააკეთა ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გოჩა ჯანაშიამ. მან აღნიშნა, რომ დაგეგმილია 1986 წელ (ყოფილი საბჭოთა კავშირის დროს) საფეხბურთო კლუბ ლანჩუთის „გურიას“ უმაღლეს ლიგაში გადასვლის საიუბილეო თარიღის 25–ე წლისთავის აღნიშვნა. თუ გავითვალისწინებთ ლანჩუთის საზოგადოების დამოკიდებულებას ფეხბურთისადმი, ვფიქრობ საკმაოდ დიდ ინტერესს გამოიწვევს მ/წ 12 ნოემბერს დაგეგმილი ზემოთაღნიშნული ღონისძიების ჩატარება.

ღონისძიების გეგმა ითვალისწინებს

1. „გურიის“ იმ ფეხბურთელთა მოწვევას, რომელთა მონაწილეობითაც გუნდი გადავიდა უმაღლეს ლიგაში.
2. გარდაცვლილ ფეხბურთელთა საფლავების პატივის მიცემას.
3. ფეხბურთში რაიონული ტურნირის ჩატარებას, რომელშიც გამარჯვებული სიმბოლურ მატჩს გამართავს ვეტერან ფეხბურთელებთან.
4. მ/წ 12 ნოემბერს იგეგმება ლანჩუთის „გურიას“ შეხვედრა ვანის „სულორთან“.

5. ლანჩხუთის კულტურის სახლში გაიმართება შეხვედრა, სადაც მოხდება ძველი ფეხბურთის მატჩების ამსახველი კადრების ჩვენება, გაჟღერდება გურიაზე შექმნილი სიმღერები, მოსმენილ იქნება ვეტერანების მოგონებები.

6. იგეგმება „გურიის“ ისტორიის ამსახველი ჟურნალის გამოცემა, „გურიის“ ფან-კლუბის ჩამოყალიბება.

მუნიციპალიტეტის გამგებელმა გიორგი გოგუაძემ აღნიშნა, რომ სასურველია ქალაქის ცენტრალურ სკვერში დაიდგას ლანჩხუთის „გურიის“ მემორიალი (ირემი ბურთით).

ბიურომ ცნობად მიიღო საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის გოჩა ჯანაშიას ინფორმაცია.

**დღის წესრიგის მეექვსე საკითხთან დაკავშირებით** „სამშობლოსათვის დაღუპულ გმირთა მემორიალის პროექტის შესარჩევი საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ“ ინფორმაცია გააკეთა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გოჩა ჯანაშიამ. მან აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტში აღიზარდა სამშობლოსათვის თავდადებული არაერთი პიროვნება, რომლებიც იბრძოდნენ სამშობლოს კეთილდღეობისათვის, როგორც სამამულო ომში, ასევე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად წარმოებულ ბრძოლაში. ლანჩხუთში დღემდე არ არსებობს მათი სახელობის მემორიალი, სადაც შესაძლებლობა იქნება პატივი მიეგოს მათ ხსოვნას.

საკრებულოს თავმჯდომარე რევაზ ჩიტაძემ აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას მიზნშეწონილად მიაჩნია სამშობლოსათვის თავდადებულ მეომართა მემორიალის დადგმა ქალაქის ცენტრში. მემორიალის საუკეთესო პროექტის გამოვლენის მიზნით უნდა შეიქმნას სპეციალური კომისია. საკრებულოს თავმჯდომარეს მიზანშეწონილად მიაჩნია კომისიას უხელმძღვანელოს საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, გოჩა ჯანაშიამ. მანვე დაავალა გამგეობის იურიდიულ სამსახურს საკითხთან დაკავშირებით მოამზადოს შესაბამისი ბრძანების პროექტი, ხოლო სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გოჩა ჯანაშიამ უმოკლეს ვადაში წარმოადგინოს წინადადებები მემორიალის საკონკურსო პირობებთან დაკავშირებით.

საკითხთან დაკავშირებით ბიუროს წევრების მიერ განსახვავებული აზრი არ დაფიქსირებულა.

საკრებულოს თავმჯდომარე რევაზ ჩიტაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის მეექვსე საკითხს

**მომხრე 9, წინააღმდეგი არცერთი.**



**დღის წესრიგის მეშვიდე საკითხთან დაკავშირებით.** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის რწმუნებულთა მიერ აქტის შედგენის, ცნობის გაცემისა და ბეჭდის გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს თავმჯდომარე რევაზ ჩიტაძემ.

**ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:**

1. განკარგულების პროექტზე ძირითად კომისიად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია (თავმჯდომარე ილო გვარჯალაძე).

2. პროექტი განხილვისათვის გადაეგზავნოს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიას და ფრაქციებს – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და „ლანჩხუთელები“.

საკრებულოს თავმჯდომარე რევაზ ჩიტაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის მეშვიდე საკითხს:

**მომხრე 9, წინააღმდეგი არცერთი.**

**დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდგომ ბიურომ ორგანიზაციულ საკითხებზე მიიღო გადაწყვეტილება:**

1. საკრებულოს ბიუროს მომდევნო სხდომის თარიღად განისაზღვრის მ/წ 18 ოქტომბერი.

2. საკრებულოს შესაბამისმა კომისიებმა და ფრაქციებმა წარმოადგინონ დასკვნები ბიუროს დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებზე მ/წ 8 ოქტომბრამდე.

3. დაევალოს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატს (ნ. ძიძიგური) საკრებულოს მიერ განსახილველი სამართლებრივი აქტების პროექტების შესაბამის კომისიებსა და ფრაქციებში დაგზავნის, დადგენილი წესით გამოქვეყნების ორგანიზაციული უზრუნველყოფა.

**მომხრე 9, წინააღმდეგი არცერთი.**

**სხვადასხვა:**

მუნიციპალიტეტის გამგებელმა გიორგი გოგუაძემ აღნიშნა, რომ მას მიზანშეწონილად მიაჩნია ქალაქ ლანჩხუთის ცენტრალურ ნაწილში არსებული ძეგლი, რომელიც მისივე აზრით ისედაც გაურკვეველი დატვირთვის მატარებელია, გადატანილ

იქნას ეგნატე ნინოშვილის სახლ-მუზეუმის ტერიტორიაზე, როგორც მწერლის ნაწარმოების ერთ-ერთი პერსონაჟის აჯანყებული გურულის სიმბოლო. შექმნილია შსაბამისი პროექტი. მისივე განმარტებით იგი ყოფილა ძეგლის ავტორის, ირაკლი ოჩიაურის სადიპლომო ნამუშევარი, რომელსაც პირობითად დაერქვა „აჯანყებული“.

საკრებულოს თავმჯდომარემ, რევაზ ჩიტბემ მადლობა გადაუხადა სუფსის მაჟორიტარ დეპუტატს და ტერიტორიული ერთეულის რწმუნებულს (ე. ჩხარტიშვილი) და მის აპარატს ღონისძიების სათანადო დონეზე ორგანიზებისათვის.

ამით ბიუროს გამსვლელმა სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე:

რევაზ ჩიტბე

საკრებულოს აპარატის უფროსი:

ნინო ძიძიგური

საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე:

დონარა დოლიძე

შემსრულებელი:

საკრებულოს მთ.სპეციალისტი საოქმო

და საორგანიზაციო საკითხებში

მაია კეკელიძე